დედათა სიკვდილიანობა საქართველოში, გამომწვევი მიზეზები, რისკები და მათი მართვა

ლაშა ხვედელიძე[1], ვასილ ტყეშელაშვილი[2]

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
[1]სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; 2ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დედის სიკვდილი არის ქალის ორსულობით განპირობებული სიკვდილი, რომელიც მოხდა ორსულობის პერიოდში ან მისი დამთავრებიდან 42 დღის შემდეგ, ორსულობასთან დაკავშირებული რომელიმე მიზეზით, რომელიც დამძიმდა ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში, მაგრამ არა უბედური შემთხვევითან შემთვევითი მიზეზებით (WHO). ათწლეულის განვითარების მიზანთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს უნივერსალური ხელმისაწვდომობა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, ხოლო ამ მიზნის ერთ-ერთი ამოცანაა დედათა სიკვდილიანობის შემცირება. 2014 წლის Ramos[3] კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2006 წლიდან 2012 წლამდე შემცირდა 44.4 შემთხვევიდან 26.3 შემთხვევამდე ყოველ 100,000 ცოცხალშობილზე. ასევე, 2014 წლის Ramos[3] კვლევამ აჩვენა, რომ კიბო ჯერ კიდევ წარმოადგენს რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების წამყვან მიზეზს და კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა შეადგენს მათი საერთო სიკვდილიანობის 45.3 % -ს. 2014 წლის კვლევამ აჩვენა , რომ ძუძუს კიბო იყო რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების ერთადერთი წამყვანი მიზეზი (12,6%) , რასაც მოყვება ავტოსაგზაო შემთხვევები (9,3%) და საშვილოსნოს ყელის კიბო (6,5%). რაც შეეხება პირდაპირ სამეანო სიკვდილიანობის ძირითად მიზეზებს : ინფექცია (21,7%) და სამეანო სისხლდენა (17,4%) , ხოლო არაპირდაპირი მიზეზით გამოწვეულია სამეანო სიკვდილიანობის 26,1 %. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში 358,000 მეტი ადამიანი კვდება ორსულობის ან მშობიარობის შემდეგ (WHO გლობალური მონაცემები) , საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2013 წლის მონაცემებით 41 შეადენს (NCDC).

აბრევიატურა : *WHO- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია; NCDC- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი.; Ramos -ქვეყანაში დედათა სიკვდელიანობის მაჩვენებლების,მიზეზებისა და გამომწვევი ფაქტორების დადგენისა და დედათა სიკვდილიანობის რეგისტრაციის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი.*

საკვანძო სიტყვები: *დედათა სიკვდილიანობა საქართველოში, გამომწვევი მიზეზები, რისკები და მათი მართვა*